

ინდივიდუალური ფინანსური

ანგარიშგება

შპს ლუიდორი

ს/ნ 401968082

2024 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 3
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
3. სააღრიცხვო პოლიტიკა..... 5
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები ----- 11

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	49,482	153,827	450,515
სავაჭრო მოთხოვნები	2	106,127	29,513	185,975
მარაგები	3	585,282	549,457	700,216
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები				
სულ მიმდინარე აქტივები		<u>740,891</u>	<u>732,797</u>	<u>1,336,706</u>
ძირითადი საშუალებები	4	413,788	411,407	308,629
არამატერიალური აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>413,788</u>	<u>411,407</u>	<u>308,629</u>
სულ აქტივები		<u>1,154,679</u>	<u>1,144,204</u>	<u>1,645,335</u>
სავაჭრო ვალდებულებები		336,309	94,897	38,691
მიღებული ავანსები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		17,218	18,392	9,748
სხვა ვალდებულებები		162,608	304,746	279,343
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>516,134</u>	<u>418,035</u>	<u>327,782</u>
სულ ვალდებულებები		<u>516,134</u>	<u>418,035</u>	<u>327,782</u>
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		638,545	<u>726,169</u>	<u>1,317,553</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>638,545</u>	<u>726,169</u>	<u>1,317,553</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>1,154,679</u>	<u>1,144,204</u>	<u>1,645,335</u>

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		9,259,531	8,816,312
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება :		-8,224,133	-7,988,165
მარაგების თვითღირებულება			
დასაქმებულთა ანაზღაურება			
საერთო მოგება		1,035,398	828,147
სარეკლამო ხარჯი			
ტრანსპორტირების ხარჯი		47,625	29,094
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	722,823	821,302
კომუნალური გადასახადები ხარჯი		8,363	6,987
საოფისე ხარჯი			
ცვეთა და ამორტიზაცია		105,223	74,730
საგადასახადო ხარჯი		4,125	4,594
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი			
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		205,773	441,888
სულ საოპერაციო ხარჯები		1,093,931	1,378,595
საოპერაციო მოგება		-58,533	-550,448
საპროცენტო შემოსავალი:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-29,091	-40,936
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		-87,624	-591,384
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		-87,624	-591,384
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი გაუნაწილებელი მოგება)		726,169	1,317,553
საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი		-87,624	-591,384
დივიდენდის განაწილება			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (გაუნაწილებელი მოგება)		638,545	726,169

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლუიდორი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2012 წლის 6 მარტს (ს.კ. 401968082). კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქუჩის მიმდებარედ, სადარბაზო 4, სარ. N 5, ბ N 97 და საქმიანობის ძირითადი ადგილი ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. 27 .კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. საზოგადოების დამფუძნებელი, 100% წილის მმართველი და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გახლავთ ფ/პ ზურაბ გიგაური (კ.ნ 59001021384), საქართველო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაითვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელი გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ

სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები 50 წელი;

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი;

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირები

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები

	2024	2023	2022
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	30,258.56	148,091	255,321
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	19,223.13	5,736	195,194
სულ	49,482	153,827	450,515

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	106,127.43	29513	185975.0
სულ	106,127.43	29,513.00	185,975.00

შენიშვნა 3

მარაგები

	2024	2023	2022
საქონელი	584,799	548,246	698,973
ნედლეული და მასალები			
დაუმთავრებელი წარმოება			
საწვავი	483	1,120	1,243
სულ	585,282	549,366	700,216

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

		მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	-	17,845	35,520	21,715	39,099	114,179
შემოსვლა	-	12,001	13,491	78,142	137,693	241,327
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-7,459	-	-	-7,459
31 დეკემბერი 2022	-	29,846	41,552	99,857	176,792	348,047
შემოსვლა	-	9,173	6,813	133,635	45,371	194,992
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-21,712	-	-21,712
31 დეკემბერი 2023	-	39,019	48,365	211,780	222,163	521,327
შემოსვლა	-	-	3,274	78,300	27,661	109,235
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-1,610	-1,925	-	-	-3,535
31 დეკემბერი 2024	-	37,409	49,714	290,080	249,824	627,027
ცვეთა						
31 დეკემბერი 2021	-	3,227	4,314	4,232	1,076	12,849
პერიოდის ცვეთა	-	4,371	8,681	3,125	11,860	28,037
გასვლა	-	-	-1,467	-	-	-1,467
31 დეკემბერი 2022	-	7,598	11,528	7,357	12,936	39,419
პერიოდის ცვეთა	-	7,178	5,880	20,171	41,518	74,747
გასვლა	-	-	-4,246	-	-	-4,246
31 დეკემბერი 2023	-	14,776	13,162	27,528	54,454	109,920
პერიოდის ცვეთა	-	7,643	9,290	38,737	49,552	105,223
გასვლა	-	-778	-1,125	-	-	-1,903
31 დეკემბერი 2024	-	21,641	21,327	66,265	104,006	213,239
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	-	14,618	31,206	17,483	38,023	101,330
31 დეკემბერი 2022	-	22,248	30,024	92,500	163,856	308,628
31 დეკემბერი 2023	-	24,243	35,203	184,252	167,709	411,407
31 დეკემბერი 2024	-	15,768	28,387	223,815	145,818	413,787

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულების ანალიზის შედეგად გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 5

დასაქმებულთა გასამრჯელოები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	529,457	653,375	206,250
სულ	529,457	653,375	206,250

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი ზ. გიგაური

